

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

”სიმალ კონსტრუქშენ“

საიდენტიფიკაციო კოდი 445548916

ქ. ბათუმი ქუჩა ქუთაისი, N 11, ბინა N5

ტ 555 954495

N 01/20

2020 წლის 30 აგვისტო

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების

და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს 2016 წ. 8 ივნისის N5386-III კანონის მოთხოვნების თანახმად ვებ გვერდზე “reportal.ge” გამოსაქვეყნებლად წარმოგიდგენთ შპს „სიმალ კონსტრუქშენ“ 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებას. შპს „სიმალ კონსტრუქშენ“ აღნიშნული კანონით დადგენილი პარამეტრების მიხედვით წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს და ამავე კანონის თანახმად აღნიშნულ ანგარიშგებას წარადგენს „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs)“ ნორმების გათვალისწინებით.

დასახელება	2019
აქტივების ჯამური ღირებულება (ერთეული ლარი)	1384925
შემოსავალი (ერთეული ლარი)	2541382
დასაკმებელთა საშუალო რაოდენობა (ერთეული)	41

**შპს „სიმაღ კონსტრუქშენ“
ფინანსური ანგარიშგების
ახსნა განმარტებითი შენიშვნები**

ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია.

შპს „სიმაღ კონსტრუქშენ“ დაფუძნდა 2019 წლის 16 იანვარს, მარეგისტრირებული ორგანოა - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო . საზოგადოების იურიდიული მისამართია საქართველო, ქალაქი ბათუმი, ქუჩა ქუთაისი, N 11, ბინა N5. კომპანიას მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 445548916; ფაქტიური მისამართი ქ. ბათუმი, ოპიზრების, N 67-ში.

კომპანიის ერთპიროვნული დამფუძნებია:

მესაკუთრე - ერენ ჯან შიმშეძე, - პ/ნ 15616208122, U21324738/თურქეთი/ - კაპიტალის 100%

წილისმფლობელი.

ხელმძღვანელი : 1. დირექტორი - ერენ ჯან შიმშეძე, 15616208122, U21324738 /თურქეთი/

2. დირექტორი - თაჰსინ ოზმენი, 13913801466, U21337626 /თურქეთი/

კომპანიის ძირითადი საქმიანობა:

-სხვა სატრანსპორტო საშუალებების რემონტი და ტექნიკური მომსახურება

-სამშენებლო საქმიანობა კრძოლ ხიდებისთვის სპეციალური რიგელების და სვეტების დამზადება, რომელსაც აწარმოებს ქ. ბათუმი, ოპიზრების, N 67-ში .

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძველი.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება წარედგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს,

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს, 2016 წლის 8 ივნისის

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად.

-ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და გამოქვეყნებულია „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენის და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის N 5-6 ბრძანების ნორმების შესაბამისად.

- ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

ფუნქციონირებადი საწარმო

- ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე, ასევე ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებსა და სხვა ძირითად ფაქტორებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადეკვატურობის შეფასებისას. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ „კომპანია“ მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ეროვნულ ვალუტაში

-საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მონაცემები ასახულია ერთეულ ლარში, არასრული ციფრები (თეთრებში გამოსახული) დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე საზოგადოდ მიღებული წესით.

თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

სააღრიცხვო პოლიტიკა

-კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საზოგადოდ მიღებულ წესებს და დებულებებს.

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება და აღიარება

-ფინანსური აქტივების და ვალდებულების აღიარება ხდება გარიგების თარიღის მდგომარეობით.

-ფინანსური აქტივების ან/და ვალდებულებების შეფასება ხდება გარიგების თარიღისათვის მათი თვითღირებულებით და ამ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით:

-დამადასტურებელი დოკუმენტების (ხელშეკრულებები, ინვოისი, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) თანახმად, საიჯარო მომსახურება გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული პერიოდის დასრულების თარიღით.

ვალუტა

-ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსისმიხედვით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით.

ლარი/დოლარი

რომელიც 2019 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2,8677 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 3,2095 (2018 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2,6766 ლარი, ერთი ევრო 3,0701). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით). საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

-განყოფილება მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

ძირითადი საშუალებები

მიღებული (შემძენილი) აქტივების (ძირითადი საწარმოო საშუალებების, სასაქონლო-მატერიალური მარაგების) შეფასების აღიარება და ასახვა აღრიცხვაში ხდება მათი ფაქტიური თვითღირებულებით, რომელიც ყალიბდება მათი შეძენის, მათი ტრანსპორტირების, განბაჟების და საკუთრების უფლების გაფორმების ხარჯებით (მათი არსებობის შემთხვევაში).

სამეურნეო ოპერაციები საბუღალტრო პროგრამაში აისახება მათი ცდომილობის თარიღებით:

შენიშვნა ნაგებობები .

ა) ძირითადი საშუალების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივებისათვის საბუღალტრო აღრიცხვისათვის თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი, ამასთან ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თავიდან, როდესაც ძირითადი საშუალება/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების /საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო

ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 40-50 წელი;

მანქანა-დანადგარები - 20-25 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 5 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი;

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;
- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;
- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

-მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

-მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

-ხარჯები დაკავსირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა.

-სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. მისი მოხდენისთანავე.

-ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

-სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღიარდება მათი შეძენის თარიღით.

სასაქონლო მატერიალური მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში, საქონლის იმპორტის შემთხვევაში საბაჟო დეკლარაციის და თამხლებ მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი ა/ფაქტურა ინვოისის გათვალისწინებით წარმოებს საქონლის შემოსავალში აღება.

ამრიგად სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებით (თუმცა საჭიროებისას-ბაზარზე ცვლილებების შემთხვევაში, ფინანსურ ანგარიშგებაში შეიძლება

ასახული იქნას თვითღირებულებასა და სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით).

საწვავის აღრიცხვა

- ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ბარათებით/ტალონებით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. ბარათებში/ტალონებში აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად. ბარათებიდან ანგარიშვალდებულ პირებზე გაიცემა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიხედვით და აღირიცხება უწყისებში.

საწვავი ჩამოიწერება ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის საგზაო ფურცლის მიხედვით, რომელსაც დაერთვება ბრძანება ხელმოწერილი დირექტორის მხრიდან.

ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში აისახება და ჩამოწერა ხორციელდება ფაქტიურად გახარჯული მასალების მიხედვით.

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კატრიჯი, დისკები, ეკრანის გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში აისახება და ჩამოწერა ხორციელდება ფაქტიურად გახარჯული მასალების მიხედვით.

საექსპლუატაციო მასალები, რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის, ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციისა და მიმდინარე შეკეთებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები ჩამოიწერება აქტის საფუძველზე.

ამონაგები აღიარება

-კომპანია იღებს შემოსავალს შესრულებული მომსახურების რეალიზაციიდან საქართველოს ტერიტორიაზე. შემოსავლის აღიარება ხდება ყოველთვიურად, იმ თანხის პროპორციულად, რა მომსახურებაც იქნა მიწოდებული მომხმარებლისთვის, რომელიც თავის მხრივ დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით ხელმოწერილი კომპანიისა და კლიენტის მხრიდან

ხარჯების აღრიცხვა

ხარჯები წარმოიშობა საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებით, მომსახურების წამორმოებასთან დაკავშირებული ხარჯებით, სატრანსპორტო საშუალების მიმდინარე რემონტით,

გახარჯული საწვავით, საზოგადოების თანამშრომელთა ხელფასით, საოფისე ხარჯებით, კომუნიკაციის, კომუნალური გადასახადებებით, ძირითადი საშუალების ამორტიზაციით, ქონების გადასახადით და სხვა მიმდინარე ხარჯით. ხარჯების აღრიცხვა ხდება ფუნქციური დანიშნულებით.

სავაჭრო მოთხოვნები

-სავაჭრო მოთხოვნები შედგება გაწეული მომსახურების გადაუხდელი ღირებულებისაგან, რომელიც კომპანიამ დარიცხვის მეთოდით მომსახურების მიწოდებით თარიღით აღიარა შემოსავლად და ასახა საბუღალტრო აღრიცხვაში თუმცა შესაბამისი ანაზღაურება ჯერ არ მიუღია.

კომპანიის ხელმძღვანელობა სისტემატიურ ძუძაობას აწარმოებს ამ საკითზე და არარეალური (უიმედო) ვალები ამ მონაცემებში ჯერჯერობით არ ირიცხება.

სავაჭრო ვალდებულებები

ვალდებულებების ნაწილში კომპანიას პერიოდულად ერიცხება მომწოდებლების ვალი, რაც გათვალისწინებულია მომწოდებელთან ურთიერთ თანამშრომლობის ხელშეკრულებების პირობებით.

სესხი

საწარმოს 2019 საანგარიშგებო პერიოდში არა აქვს მიღებული სესხი.

გადასახადები

-კომპანია დროულად ისტუმრებს სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე მის კუთვნილ დავალიანებას, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის მას ბიუჯეტისათვის გადასახდელად ერიცხებოდა 50939 ლარი (რაც ასახულია საგადასახადო ვალდებულებებში).

-საქართველოს კანონმდებლობის თანახმად 2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახდით იბეგრება მხოლოდ მოგების განაწილებული ნაწილი რომელიც კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში არ გააჩნია, მიუხედავად ამისა კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია რომ ეს მოსალოდნელი გადასახდი ასახული უნდა იყოს ვალდებულებების ნაწილში, კომპანიის ფინანსური მდგომარეობის სწორი ანალიზისათვის.

- შპს „სიმაღ კონსტრუქშენ“-ში დასაქმებულია 41 ადამიანი, კომპანიაში დაცულია და ყურადღება ექცევა შრომის უსაფრთხოებას.
- კომპანია საბუღალტრო აღრიცხვისათვის იყენებს საბუღალტრო პროგრამა „ორის“ .

-სამეურნეო ოპერაციები ოპერატიულად აისახება საბუღალტრო აღრიცხვაში, რაც სასაქონლო-მატერიალური მარაგების და სხვა ნაშთების დროული კონტროლის საშუალებას იძლევა.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდი აღიარდება ვალდებულებად მისი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდი ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც გადაწყდება მისი განაწილება.


ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა

საწარმოებს თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სააღრიცხვო პოლიტიკის ამ თავში შეუძლიათ შეიტანონ დაზუსტებული ანგარიშთა გეგმა დამატებით ანგარიშების გახსნით.

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

დირექტორი



თაჰსინ ოზმენ

ბუღალტერი



ქეთევან კახიძე



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**აქტივები**

მიმდინარე აქტივები:	
ნაღდი ფული	290 044
საბანკო ანგარიში	150 589
დებიტორული დავალიანება	898 637
საეჭვო ვალების რეზერვი	-
სულ დებიტორული დავალიანება	898 637
სასაქონლო მარაგები	278
ნედლეული	-
წინასწარ გაწეული ხარჯები	-
სხვა მისაღები თანხები	-
მთლიანი მიმდინარე აქტივები	1 339 549

ძირითადი საშუალებები:	-
სატრანსპორტო საშუალებები	18 246
დაგროვილი ცვეთა	-
სულ სატრანსპორტო საშუალებები	18 246
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	27 131
დაგროვილი ცვეთა	-
სულ ავეჯი და ოფისის მოწყობილობები	27 131
მოწყობილობა და დანადგარები	0
დაგროვილი ცვეთა	-
სულ მოწყობილობა და დანადგარები	0
უძრავი ქონება	-
დაგროვილი ცვეთა	-
სულ უძრავი ქონება	-
მიწა	-
მთლიანი ძირითადი საშუალებები	45376

არამატერიალური აქტივები და ინვესტიციები:	
გრძელვადიანი ინვესტიციები	-
არამატერიალური აქტივები	-
მთლიანი არამატერიალური აქტივები	-

მთლიანი აქტივები**1384925**

მიმდინარე ვალდებულებები:	
კრედიტორული დავალიანება	68444

დარიცხული გადასახადები	50 939
დარიცხული ხელფასები	56 052
ავანსად მიღებული შემოსავლები	-
მოკლევადიანი სესხები	-
გადასახდელი პროცენტები	-
მოთხოვნი მიმდინარე ვალდებულებები	175435


გრძელვადიანი ვალდებულებები:	
გრძელვადიანი სესხები	-
გადავადებული გადასახადები	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-
ლიზინგი	-
მოთხოვნი გრძელვადიანი ვალდებულებები	-

მოთხოვნი ვალდებულებები	175435
-------------------------------	---------------

კაპიტალი:	
საკუთარი კაპიტალი	-
გაუნაწილებელი მოგება	-
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	1 209 490
მოთხოვნი კაპიტალი	1 209 490

მოთხოვნი ვალდებულებები და კაპიტალი	1384925
---	----------------

დირექტორი  თაჰსინ ოზმენ

ბუღალტერი  ქეთევან კახიძე



მოგება-ზარალის ანგარიშგება

2019

შემოსავლები:	
მთლიანი საოპერაციო შემოსავალი	2 541 382
ფასდაკლება და უკან დაბრუნებული გაყიდული საქონელი	5 968
წმინდა ამონაგები	2 547 350
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:	13 051
საერთო მოგება	2 534 299

საოპერაციო ხარჯები	
სახელფასო ხარჯები	955 894
ტრანსპორტირების ხარჯები	192 980
იჯარა	90 523
რეკლამა	-
კომუნალური ხარჯები	-
კომუნიკაციის ხარჯი	4 383
დაცვის ხარჯი	-
ბუღალტერია/აუდიტი/კონსულტაცია/ნოტარიუსი	6 394
საოფისე ხარჯები	398
საბანკო მომსახურების ხარჯები	398
დაზღვევა	447
უიმედო ვალების ჩამოწერა	-
ქონების/მიწის გადასახადი	4 746
რემონტი	7 520
მივლინება	-
სხვა ხარჯი	25 933
საპენსიო ხარჯი	4 966
საკომისიო	2 508
საბაჟო მომსახურების ხარჯი	2 413
წარმომადგენლობითი ხარჯი	1 993
დაძმარე მასალების დანახარჯები	15 524
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	1 317 017

საოპერაციო მოგება/ზარალი

1 217 281

ცვეთა და ამორტიზაცია	-
საპროცენტო შემოსავალი	-
საპროცენტო ხარჯი	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1 082
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	8 873

მოგების გადასახადი	-
დივიდენდი	-
წმინდა მოგება (ზარალი)	1 209 490

დირექტორი:

თაქსინ ოზმენ

ბუღალტერი:

ქეთევან კახიძე



ფულის მოძრაობის უწყისი

ფული პერიოდის დასაწყისში	0
შემოსავლები:	
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები	2215572,36
ავანსად მიღებული თანხები	0
სულ შემოსული თანხები	2215572,36

საოპერაციო ხარჯები:	
მომხმარებლებზე გადახდილი თანხები	-166727,91
თანამშრომლებზე გადახდილი ხარჯები	-632697,8
გადახდილი გადასახადები საპენსიო	-9873,65
გადახდილი გადასახადები საშემოსავლო	-51589,41
გადახდილი გადასახადები	-487775,63
ავანსად გადახდილი თანხები	0
მიწის მეპატრონეებზე გადახდილი თანხები	0
არა რეზიდენტზე გადახდილი თანხები	0
ქირის გადახდილი თანხები	-240753,96
ანგარიშგაღებულ პირთან დარჩენილი თანხები	-128301,59
სულ გაცემული თანხები	-1717719,95

ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან	497852,41
--	------------------

ფულადი მოძრაობა ინვესტიციებიდან:	
ძირითადი საშუალებების შეძენა	-53543,9868
მიღებული დივიდენდები	0
სულ ფულადი შემოსავალი ინვესტიციებიდან:	-53543,9868

ფულადი მოძრაობა ფინანსური ოპერაციებიდან	
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	293,69
სავალუტო გადაფასების ხარჯი	-3968,44
სესხის ძირის დაფარვა	0
სესხის პროცენტის დაფარვა	0
გაცემული დივიდენდი	0
საკუთარი კაპიტალის ცვლილება	0
სულ ფულადი შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან	-3674,75

ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	440 633,67
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის	-
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	440 633,67

დირექტორი:

ბუღალტერი:



თაჰსინ ოზმენ

ქეთევან კახიძე



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ კაპიტალი
31.12.2018 წაშთი	0	0	0
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	0		0
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი 31.12.2019		1209490	1209490
31.12.2019 წაშთი	0	1209490	1209490

დირექტორი:



თაქსინ ოშვინი

ბუღალტერი:



ქეთევან კახიძე

